



1910 29 აგვისტო

შანი ო.ნი შაუნი



იაკობ გოგებაშვილი 45 წ. მღვდელმთავრის ვამთ

თბილისის წიგნის მალაზიეზში ისყიდება

გ. მ. თუმანიშვილის წიგნები

Характеристики и воспоминанія

(А. Казбекъ.—Зур. Антоновъ.—А. Цагарели.—Кн. Раф. Эристовъ. кн. Ил. Чавчавадзе.—Г. Н. Сундукіанцъ. Максимъ Горкій. Воспоминанія объ основаніи постоянной грузинской сцены и пр.

3 Выпуска, ц. каждаго 50 к.

„ცოდნა“-ს

წიგნის მალაზიეზში ისყიდება

	მ.	ბ.
რიითეტიკ. კრებ. ხრამელაშვილის I ნ.	„	30
„ „ „ II ნაწ.	„	40
არიითეტიკის სახელმძღვანელო მისივე.	„	80
ქართული წერის დელნი მარანაშვილის	„	40
ნაგ. მარათაშვილის ლექსები და წერილები დ. კარაი	„	40
ჭაშვილის ბოგრაფიით, ილ. ჭავჭავაძის კრატ. წე-	„	40
რლით და ივ. გამართლის ლექციით.	„	40
იმერეთის მეფე სვლაძის, ბ. სხანაშვილის	„	25
რატა, სოსიოტ მერკვილიძის	„	20
აღუქსი, ზოგმა აკაკის	„	10
სიმღერა აკაკის	„	15
ილ. ჭავჭავაძის რჩეული ლექსები	„	15
ბაშაჩუკა, აკაკის	„	30
სამშობლოსთვის თავდაცემული	„	40
რუსთა დამარცხებას ქართულად	„	20
ათა მითხრობა, ივანე მაჭავარიანის	„	20
იანია, ნ. ნიკოლაძის	„	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	„	10
დიდი ვეფხის ტყაოსანი მშენიერის უღით	„	3
გულტურა აიბერტის	„	50
უხუბეგის სრული თხზულება ერთ ტომად	„	3
ლექსიკონი საბ. ორბელიანის	„	3
ლექსიკონი ქართულ-რუსული ბავაშვილის	„	50


ლექსიკონი ქართულ-რუსული ელიფანას	„	50
ლექსიკონი რუსულ-ქართული სხვაგვარი	„	20
ხუბინაშვილის რუსულ-ქართული	2	40
დამონებულნი (ბოლგ. განთავ)	1	„
ქართულთა ტომი, სურათ. აღბ.	3	„
აღდგომა, ტელსტოის	1	20
საქართველოს გეოგრაფია, ვასუტის	2	„
სერტი მესხის თხზულება	1	„
მამა გურიელის თხზულება	1	„
აკაკი წერეთლის თხზულება I და II ტომი	2	„
თავ-გადასავალი, მისივე	1	„
რამედი ერისთავის თხზულება	1	„
ი. ვეფხიშვილის თხზულება	„	60
სამხარეული ქართული სკოლების	1	50
დალატი ა. სუმბათაშვილის დასურათებული	1	25
ჭავჭავაძის და სომეხთა მეცნიერნი ილიას		
ჭავჭავაძის	„	30
ხილბრები დასურათებული უღით I ტომი	1	25
ხილბრები ტომი მორე,	1	30
შიდლერის ზოგზა ივ. გამართლის	„	20
ფურერი ლექსები	„	40
ხილბრები, მაქ. გორაკის	„	25
ბუნება და ცხოველები, ი. ახსანიშვილის	„	60

სტეფანოვს დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას და დებით ფოსტით. თბილისი, წიგნის მალაზია „ცოდნა“ მალაზიის პატრონი სხილი მერკვილიძე



წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე
ნამბერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ.
კანტორაში იოსებ იმედაშვილთან თიფლის.
Редакция «Театри да Цховრება»

Иос. Зах. Имедашвили
ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—
ხელთნაწერები საპირობებისმებრ შესწორდება.—
—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება
შეიძლება შუადღის 12—2 ს. და საღ. 6—7ს.
ტელეფონი № 862



29 აბშისტოს 1910 წ.

ფხიზლად, ამ სიტყვებით აფრთხილებდენ
კონსულებს. ძველ რომში მთელის ერის
უმალეს გამგებელი; ამავე სიტყვებით შივ-
მართავთ ჩვენის თეატრის მესვეურთ...

თეატრი ცხოვრების სარკეაო, რომ ამბო-
ბენ უაზროდ-კი არ ამბობენ...

კარგად დაყენებული თეატრი ყოველთვის
იმას ცდილობს, ცხოვრების სინამდვილეს გაუხ-
დეს სარკედ, დააკმაყოფილოს ერის სულიერ-
გონებრივი მოთხოვნები.

თუ თეატრი მაყურებლის სულსა და
გულს ვერ მოჰხიბლავს სინამდვილის ხელოვ-
ნურად ჩვენებით, სიმართლის განსახიერებით,
ცხოვრების სისწორით სცენაზე გადატანით,—
ასეთი თეატრი საზოგადოებას ვერ მიიზიდავს
და საბოლოოდ სახელსაც გაიტეხს...

ვიდრე ქართული თეატრი თავის ნამდვილ
დანიშნულებას არ შეიგნებს, სახელდობრ იმას,
რომ იგი სარკე უნდა იყოს ქართველი ხალხის
ცხოვრებისა, ერთის მხრივ, და საკაცობრიო
იდეთა გამავრცელებელი,—მეორეს მხრივ, მა-
ნამდევ იგი მკვიდრ ნიადაგზე ვერ დამყარდება...
ქართული თეატრი მტკიცე ეროვნულ ნიადაგს
უნდა დაადგეს: მეღობჟენის ქართულ ტაძარ-
ში ქართულ სიტყვებთან ერთად სულიც ქარ-
თული უნდა ტრიალებდეს. ქართულმა სცენამ
მთელი თავისი ძალადონე, უმეტესად, ჩვენის
ცხოვრების დასურათებას უნდა უზიანდომოს.
უბრალო, ჩვეულებრივი პიესები, უცხოური-
დან „გადმოჩიქორთულებული“, ჩვენის თეატრის
მაყურებელს ვერასფერს მისცემს ერთი
მიტომ, რომ არისტოკრატია და ბურჟუაზია
იმავე პიესას სხვა თეატრებში, უმეტეს შემთხ-
ვევაში, უკეთესად დადგმულს ნახავს და მეორე-
ც—ქართველი მღაბიო და საშუალო წოდებ-

ბის ხალხის სულსა და გულს საზრდოვან ვერ
შეერგება.

ღრმა ჩვენს თეატრი ნასუფრალით საზრ-
დობას ასცდეს, ნამდვილი სახეური სულით
გაიჟინთოს და საერთო მიმდინარებაში თა-
ვისა მსუფლოდობგ ხსვგასმით აღნიშნოს. თუ სა-
კუთარა ძაღლინათ არ აღიკურვა იგი, ყოველ-
თვის უკან ჩამორჩენილი მანაჩაღა იქმნება.
პატეიანგებს მხოლოდ სუღათ ძაღარსა და თათ-
შემომქმედს გეუთუნას...

ერთი მკირე სარეისორო შენიშვნაც.

ყოველ ერს, ყოველ ხალხს, ყოველ თემს,
ყოველ პიროვნებას კილო ლაპარაკისა, მიხე-
რა-მოხვრა, სიარული, ღიმილი, სიცილი და
სხ. განსაკუთრებული, თავისებური აქვს და
ამიტომ, თუ ქართული სცენის ქართველი მსა-
ხიობი ყოველივეს ისე არ აღბეჭდავს, როგორც
ამა თუ იმ ერის სულიერ-ხორციელი თვისება
მოითხოვს, თუ ქართული პიესის წარმომდგენ-
ნი მთელი პიესას ქართულის სულწარმოდით არ
ამოავგირისტებს,—ასეთი წარმომდგენა კვალს
ვერ დააჩვენებს. ისტორიულ პირის წარმომდ-
გენს რომ არა-ისტორიული ტანისამოსი ჩააც-
ვათ, ქართველი გლეხის მაგიერ რომ რუსის
გლეხი გვიჩვენოთ, ევროპიულ გრაფინია-გრან-
დამას, გრაფისა და ჯენტლმენის ნაცვლად
გაუთლელი, ხებრე ვინმე, ანუ უკანასკნელი
პირველთა ნაცვლად, რასაკვირველია, სამწუ-
ხარო ფიქრთა შეტს არას აღვიძრავს.

ამიტომ ჩვენის სცენის მუშაკთ კიდევ
ერთხელ მოვავრთებთ ბევრჯელ თქმულს და
მტკიცედ ვთხოვლობთ, რომ აღარ გვიჩვენონ:

- 1, რადისი უცვლანდრობით ენა-დასუღი და
შუუგნებლდობათ თავ-გზა დაკარგული ბქტორი;
- 2, ქართულს წარმოდგენაში არა ქართულის კაღო-
თი და სიტყვებით დაზარაჯი;

- 3, შეუფერებელი ტანისმოსი და გრამი;
 - 4, წარმადგენის დროს კულისებიდან სცენაზე აქტიურობა «გაწოვნა» — ამა თუ იმ მიმოხერხის ჩუქჩუბა;
 - 5, წარმადგენის დროს, როდის გარდა, „სცენაზე“ და „სუბსცენაზე“ სიტუაციის წარმოქმნა;
 - 6, სუფლიორის ევარილია;
 - 7, მასიურ სცენებში გზადანუკლი ბროზი;
 - 8, წარმადგენის დროს დეკორაციების ჩანაობა და კულისებიდან ვიდანეების გამოშვება;
 - 9, ზეპის მსვლელობის დროს შეუფერებლობა დარბაზში შესვლა-გასვლა, კართა ხოქა-ხოქით.
 - 10 შეუფერებელი ბუტფორა, განსაკუთრებით დამაურეგული „სროლა“ და სხ. და სხ.
- დარწმუნებული ვართ, ყოველივე ეს ან მსგავსი ნაკლებობები ან ამ სფეროში აცილებული იქნება, — ამის თავდებია წლიდან წლით ხელშეწყობი პირობანი და, თუ სეზონის წინ აღინიშნეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენის სცენის მესვეურნი ვაგვეფრთხილებინა... მაყურებელი თხოვლობს ყოველივე კარგს. კარგად მოვლილ ელემენტს მისაჯავად კარგი მისდევს...

ნატო ვაბუნი — ნატო ვაბუნი ჩართული თეატრის ახ სტაჟენდი. ისტორიაში სწავლითადად დიდებით უნდა იხსენიებოდეს. აღბათ ამ აზრით ახელმძღვანელს ქარ. დრამ. სხ-ის ვაგვევობამ 24 აგვ. სხდამაზე რომ დაადგინა: „ყოველწლიურად ერთი სტაჟენდი-300 მან. დაეხმოს ამ ქალს, რომელიც სამსახიობო განათლების მისაღებად წავა უმადეს დრამატულ კურსებზე. თანხის შესესებად ყოველ წელს, ნატოს დახმობა დღეს, 3 თებერვლს განმართოს წარმადგენს. აგრევე მიღებულ იქნეს შემოწირულობანი. რაც სამის მანის აღმატება, გადაიღეს სათარაო თანხა“.

ამ თანხის უკვე საფუძველი დაეფუძვნა გვირგვინებიდან გადარჩენილი იფუძლი და აგრევე კერძო შემოწირულობით. სხვათა შორის, ზუგდიდიდან გავტობიანებს დადად ზეატრული თავადი მიხილ მელიტონის ძე **დადიანი**:

„ეს არის ახლად წავიკითხე სამწიფრო დეკუმს. აღვამუხ დაედასის მწიფრობითა ჩვენის სცენის სიამაჟის და ევედასკან დაეწიწარის გაბუნანს გარდაცვლებისა გამო. დრამატულ საზოგადოების თანხმობისამებრ მე და სხვა მრავალი ადგილობრივი მკვიდრი მზადა ვართ ვავილოთ ჩვენი წვლილი გარდაცვალებულს ნატოს სისიანის ევედა-საქმელად.“

ქართ. დრამ. სხ. გამკეთების ამ იფრად სუფრადღებო დადგენილებასზე შეაქმნეთ ევედა იმთ ეურადღებს, რომელთაგ მართლად და გული დასწყება დადად ნატოერი მსახიობ ქალის გარდაცვლებამ. განსაკუთრებით ჩვენის ქვეყნის დრამატულ მსახიობებისა უნდა დაიხსინა წმინდა მოვლენათ, რომ წელადიქათ ვითხელ მანც გამართონ „ნატო ვაბუნის საღამო“ ამ თანხის განსაღებულად.

ინტელექტუალი და ნატოერი მსახიობანი, განსაკუთრებით ქალნი, რომ ნატოვად გვეყვს, ეს ვინ არ იქნეს, და ეგებს ნატო ვაბუნის სხელობაზე მსახიობის გამოხრდამ მთრე ნატო ვაბუნი თუ არა, ცოტათი მიმავსებული მანც შეგვიძინოს...

ვისაც ქართული თეატრი უნდა გრად უყვარს, ნატო ვაბუნის სისიანის წყალობად ზეატრის სცენას, ქართ. დრამ. სხ-ის გამკეთების ხმის მისცემს და ამ დადგენილებას ჩქარად აღსრულებში მოაყვანის.



თეატრი და მოსწავლე ახალგაზრდობა

თეატრს რომ დიდი აღმზღელობითა მნამენგლობას (воспитательное значение) აქვს, ამაზე რად დასმართავს სწავრობა. მისწავლე ახლგაზრდობისათვის შესიფერი ნაქსები ივავთ, რაც ზემოთისათვის კარგი აღმზღელია.

ყოველ ერთს თეატრს სკანგებო ეურადღება აქვს შექმნილი ამ მხარისათვის. ამა დახეთ, როგორ სცადობენ გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, რუსები მისწავლე ახლგაზრდობისათვის შესიფერი რეპერტუარის შესიმუშავებად!..

შარბნი ამ მიზნით მიუღია სხოგადობას შესიფე რეპერტუარში. ამ სხოგადობისათვის უნდა განსამშვართობო სცენის დრეკტორი ბანი კორლანოვი. დასწყისში ბურის ეკონს, ეს სახუმრო სქიქეთ, დასი უადგილო მსახიობთაგ აქნებოდა შემდგარი და სხვა., მაგრამ, ჩვენდა სისიამოვნოდ, შესიფე. ბ-ნ კორლანოვიკამ დიდი ღვაწლი დასი ამ საქმეს: შემუშავა რეპერტუარი, შეადგინა დასი, რომელთაც სუვეთესო მსახიობებმა მიადეს მოსწავლეობა, დასწავლა აბრეშვებო სხვადსხვა სწავლეობებში. რასაკვირველია, რეპერტუარი შესიფერად ეთო შედგენილი. მთელი დრამატული ხელოვნების განვითარება ეთო შემოფარგლულია. რეპერტუარი იწეობდა ძველი ბერძნული ტრეკდაით; მის მისდევლებს ცრუ-კლასიკური დრამები, სწავლო სუვეთის მისტრეები, შემადგე შექმნარი, შადღერი და სხვა. რეპერტუარი თავდებოდა თანამედროვე დრამებით.



ასე რომ მოწვევებს რეპერტუარის დასრულებას შემდეგ ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი დრამატული ხელთაწების განვითარება. საინფორმაციოსთან ერთად სარგებლობდათ ითა შეკავშირებული. ზოგიერთ წარმოდგენებს წინ ადვოდად გასაკებ ლექციებს კითხულობდნენ ხოლმე.

უნდა გენახათ, რა ხალხით ეკადებოდნენ საქმეს მსახიობნი, რა მადლიერი იყო ახალგაზდობა. წარმოდგენის დღეები სადღესასწაულოდ გადაიქცნენ მათთვის. თუტრი ვეღარ იტყვდა მსურველთ არამც თუ მოწვევებს, არამედ გარეშე ხართაცაი.

ჩვენში ასეთი მაგალითი არსილდეს არ უოფილა. რეპერტუარს გარდა, მე მგინია. ჩვენ დრამატული სახე. გამკვობას შეუძლდა თვეში ერთი ან ორი ასეთი წარმოდგენის გამართვა; და თუ კა-ხელ მასწავლომ ფასებით იქნება, არსილდეს არ იქნება ზნადა. გარნა ასეთ წარმოდგენებს მხოლოდ მაშინ აქნის მზაშენლობა, თუ სისტემა ექნება. უსისტემაოდ არსილდეს არ გაკეთებულა საქმე და არც ამ საქმიდან გამოვა რაშე.

აქამდის მოწვევები უოგელ ქართულ ენაზე დადგულ დაქსის თუ ხელდალენ და ვერაფერი გამაქქონდათ, ეს იმის ბრალი იყო, რომ სმირად მათთვის სრულიად შეუფერებულ დაქსისგან უკუდამრთი დასკვნა გამიქყვადათ. სმირად მოწვევ ვერ გეპულობდა დედა-აზრს, ზეისის საუკეთესო მოტეუებს და იმიტომ მარტო გარეგან მხარეს აქვევდა უურდღებას.

უუსურვებით განსხლებულ გამკვობას ჩუკვიარდეს ამ საგანს და არ დაიუწყოთ ხელ-მოკლე ახალგაზდობა; რომლის ესტრეტიური კონსანსა ასევე ითხოვან სხზრდას, თუ შეტად არა, როგორც ჩვენია.

კორდელი

უ ლ უ მ ბ ო ს მ თ ა მ ე

(სატირიული მითი)

ულუმბოს მთაზე მოწყენა იყო: ზურამხტი ცა, ტალღები ზღვისა, ღვითური ნიქი ლექსთა წყობისა, სიყვარული ქეშმარიტებისადმი, მშვენიერება—ყველაფერი გაყოფილი იყო ღმერთთა შორის. არაფრის დაფლობა აღარ შეიძლებოდა. შემოქმედებას სარბიელი აღარ ჰქონდა.

და ღმერთები მოწყენილი იხსდნენ. ღვითურად იყვნენ მოწყენილნი.

ღმერთების წრეში ბურღლულითა და წყევა-კრულით შემოვიდა გამხმარი, დატანჯული ხალხი: „რაო კი რამ იყო, სახირო, წაიღეს.

ყველაფერი გაიყვეს ერთმანერთში, თვით ქვემპროზნიც-კი არ შემარჩინეს და ეს უმგებნო კი დაიფრწეს! რა უყო ამ ტიალს?! მგერამ ვინ იცის, იქნებ ამის მუშტარიც გამაზრდეს“.

ღმერთთა კრებას შვერია ხალხი, მგერამ უურადღება არავინ მიაქცია. მოღუმულ სახეზე ნათლად ეწერათ: „მოგვაბებზრა თავი ამ გულტაკებულმა სულელმა“.

„ესეც წაიღეთ, გამანთავისუფლეთ!“ უკმაყოფილოდ დაიწყო ხალხმა.

„ტყუილად გარჯილხარ;—დაიგრილა ყოვლის მცოდნე ძეგმბა—მანდ კალთაში მხოლოდ მტვერია, ღმერთთა ფეხებიდან დაკვივნილი და ადამიანის ქუქკიანი ოვლია შეზებელი. რომელ ოხერს დასკირდება ასეთი თხლე“.

— გვა, შვილა ჩემო საყვარელო, წაიღე! — დაიკარგე აქედან!—გაწყრა მულამ დაუბერბელი, ვანიერ გულ-მკერდიანი დედა ღმერთებისა და ადამიანისა,—ჩემთვის საჭიროა ნამი და თოვლი, მზე და ჰაერი, და არა ეს ნახვეტი და ნაწრეტი.

— შენ, ჩემო მშვენიერი აფრილიტა? შენ ბერი გყავს თაყვანისმცემელი, მეგობარი... რომელიმე გდასაცემ, შენ თუ არაფრად გამოგადგა... .

— რაო?—გაელიმა მშვენიერს,—გულს ნუ მომაყვანიებ! როგორ არ გრცხვინია ასეთი... როგორ ვთქვა; აღარ ვიცი... ასეთი რისამე ტარება! გაიფრთხე მოსასხამი!.. აქ დაჯექი ჩემთან.

— აი შავი ქირი კი შეგეყარა—შეიგინა ხალხი—მულამ არმოყობა გახსოვს;—და გაშორდა იმ ადგილს.

ღმერთებში უკვე ჩოჩქოლი ატყდა. არესმა შორიდან დაუძახა: „არ მოხვიდე ახლოს, თორემ შენც და შენს ბარგსაც ყირამლა გადაგავდებთ აქედანო. ომის დროს მტვერს მოუღვებ, რომ არ დამეფანტოს, თუ მტერს გავუქვალავდეთ“ შუბლიდან დაბადებული, ვანიერი თინა თავაზით შეხვდა ხალხს, და სანამ უკანასკნელი მხას ამოიღებდა, მოკლედ უთხრა: „ამ შენს არა სასიამოვნო ბარგს ძნელად თუ ვინმემ მისკეს ფორმა. როგორ შეეძლება თვითონ მას მთელ ქვეყანას რაიმე ფორმა მოუნახოს, ან და გაივოს ქვეყნის ფორმა-გამოხატულება. ჩემი სამეფოსთვის ეგ უვარგისია. კეთილი იყოს შენი გზა.“

ხალის ჯავრით სკდებოდა; აღარ იცოდა რა ექმნა და ღორბლი ისევ აწეულ კალთაში ჩაყრილ მტკერზე უფარდებოდა.

— შენ ყოველისფერს მოწყალების თვალით შეტყუარებ, — შინჯა ხალისმა უკანასკნელად და მიმართა შუქმფენს აბოლონს, — შეხედე და მიიღე უკანასკნელი ჩემი სიმდიდრე.

— დაიხ! — უბასუსხა აბოლონმა — ჩემნი ქურუმნი, მხატვარნი და პოეტნი, მავასაც მოაყრობენ ყურადღებას, მაგაშიაც ჰპოებენ რასმე საგულისხმებროს, განსაკუთრებით-კი კონტრასტების შესაქმნელად, მაგრამ ჩემს სამეფოში მაგის მიღება, მომიტყევე, არ შემიძლია.

— მე კი, თუ მამაშვილობა გვამს, ნურაფერს მტყუცი, ჩემზე მაინც ცუდი აზრის არიან; ეს შენი ძღვენიც თუ მივიღე, მთელი ცა და მიწა ამიყაყანდება, რაც ზნეობრივი და გონებრივი სიღუბეებია, მან აიყვანა სამეფოს გასაღიღებლათო. ჩემს ქურდებს გონება მაინც აქვთ... ეს კი, ეს რა არის? — დაეკითხა პერმესი ხალისს.

აღარ მოგეშორდები?! — აღშფოთდენ ღმერთები — გადააგდე ეს ტრალი! არავის უნდა მოგვაშორე თავიდან!

ხალის გონება დაეკარგა: ყველაფერი წაიღეს ყველაფერი დაიტაცეს; ეს კი დამიტო-

ვეს სამარცხვინოდ“. ხალისი მივიდა ულუმბოს კიდეზე და ცოდილ მიწაზე გადმოყარა, გადმოასხა მტკერი, თხლე. ქუქკი...
ყველასაგან უარყოფილი დავარდა მიწაზე. ბრმა ვირმა სუნი იკრა ადამიანის ოფლი-

სა, იფიქრა: აქ ადამიანი არისო. მივიდა და დაუწყო აღერსი: ჩლიქებით შემოავლო ხაზი იმ ადგილს, სადაც უნდა ყოფილიყო სხეულის სხვა და სხვა ნაწილები — ხელ-ფეხი, თავი... ჩაპბერა სული, სადაც ტურნები ეგულუებოდა, ბოლოს დაწვა და ძუძუ ჩაუღდა პირში...
და მოხდა სასწაული...

ვირმა შექმნა რაღაცა ადამიანის მსგავსი. შექმნილი წამსა ღმერთების მოწყენისას, შექმნილი ღმერთების ფერხთა მტვერიდან, ადამიანთა ოფლიდან და ღმერთების ნაფურთხიდან; შექმნილი ვირის ჩლიქებით, სულ ჩადგმული და აღზრდილი ბრმა ვირის მიერ, დღესა ტროადის გმირებისასა იწოდებოდა — ტერსიტესათ; ესაა საშინელსა წარღვნისასა — ხამის შეილებათ იყვენ გადარქმულნი; დღეს კი, საქართველოს დაცემის ასი წლის თავზე, ილია ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, დოდაშვილის დროს, სახელი მათი არის
. ლეგიონი.

6. ლორთქიფანიძე



ნ ა ლ ვ ლ ი ა ნ ჰ ა ნ გ ზ ე

ქეითინი ისმის... ნალვლიან ჰანგზე
ცრემლს უერთდება გლოვისა ზარი:
მიასვენებენ კუბოს მუშისას,
მიასვენებენ, მიაქვთ ცხედარი!

სევდის ნიავად დაჰქრის ველად, ცაში ინთქმება
ხმა მწუხარების, ხმა გლოვისა, გულის მგმირავე;
საბრალო მუშა! ბედის გერი, ლუკმისა მონა,
აქ ცრემლს აფრქვევდა — იქ მიელის ცივი საფლავი!
ჰა, მიასვენეს, ლუკმის მსხვერპლი, ბნელ აკლდამასთან,
უკანასკნელად დააფრქვიეს ცრემლი მღულარე;
ბედით ბედკრული სხვისთვის ბრძოდა, ანთხევდა ოფლსა,
ახლა-კი... ახლა შთანთქავს ბედშავს ცივი სამარქ!
ოჰ! რა გველია, რა მაცდური წუთისოფელი!
ერთსა ახარებს, — მეორეს-კი უღმრთოდ გასწირავს;
ვითომ ნექტარით ჩაიტყუებს უღმომ კლანჭებში,
შემდეგ შეასმევს მწარე ნალველს... გულს გაუგმირავს!...

ქეითინი ისმის... ნალვლიან ჰანგად
ცრემლს უერთდება გლოვისა ზარი:
მიასვენებენ კუბოს მუშისას,
მიასვენებენ, მიაქვთ ცხედარი!...



იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილი

აღმართს დაღმართიკ აქესო,—ტჷუღლად არ ამზობს ანდაზა.

ჩაგრულსა და უფლება ახიღლ ერთ რომ ისეთი შვილები არა ჰყავდეთ, როგორც ჩვენი ერის ღირსეული შვილი—იაკობ გოგებაშვილია, მაშინ ხომ წყალწაღებულნი იქნებოდნენ...

ქართველ მოღვაწეთა მტირე გუნდს იაკობ გოგებაშვილის სახელი ბრწყინვალე შარავანდედით ჰმოსავს...

წელს იანვარსა სხეთა წაღაწაღად შესრულდა, რაც ეს მადლიანი, ღრმა რწმენისა და მტკიცე მოაზრე კაცი კრას სკუთადადყოფად მოღვაწეობს...

იაკობ გოგებაშვილი შთამომავლობით გლეხია, სასულიერო წოდებისა; მამა მისი სვიმონი იყო გორის მაზრის სოფ. ვარსიანის მოძღვარი, დედა—მაგდანა, გლეხის ქალი. დაიბადა 1840 წ. 15 ოქტ. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სემინარიაში დაამთავრა კურსი 1861 წ. აქედან მთავრობამ კიევის აკადემიაში გაგზავნა. უმაღლესი სწავლის ბრწყინვალედ ვათავების შემდეგ გამწესებულ იქმნა ჯერ თბილისის სასულად. სემინარიაში მასწავლებლად, შემდეგ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. 1873 წ. ჩამოშორდა სამასწავლებლო ასპარეზს. მისი მასწავლებლობის ხანა იდეურად შესანიშნავია და სწორედ ამ მიზეზითაც ჩამოაშორეს სასწავლებელს.

ერის სიყვარულით აღჭურვილობა იაკობმა სასწავლებლის გარედ ძალღონე გაიორკეცა, დაბრკოლებათ არ შეუღრკა,—ეს არის თვისება შინაგან ძალღონით აღსავსე ყოველი კაცისა,—და თავისი სააღმზღველო შრომა სასწავლო წიგნთა გამოცემით განაგრძო...

იაკობ გოგებაშვილმა რომ სახელმძღვანელოების გამოცემა დაიწყო, ქართველებში ანბანიკი არ მოიპოვებოდა, არამც თუ წესიერი სახელმძღვანელო. ამ ნაკლს მიაქცია ყურადღება იაკობმა და ანბანის გამოცემის შემდეგ, გამოსცა „ბუჩქებსა კარა“ (1869 წ.), შემდეგ „დედა ქნა“ (1875 წ. პირველად). ამას გარდა, როგორც ნამდვილ იდეურ მებრძოლ-მუშაკს შეჰფერის, იაკობი მესამოცე წლებიდან მოყოლებული, სიტყვით თუ საქმით, შეუღრკეკლად და დაუღალავად მუშაობს. ზემორე დასახელებულ სახელმძღვანელოებს გარდა, შეღვგენილი აქვს რუსული ენის შესასწავლი წიგნებიც: „Рус. слово“ I—II, მეთოდის სახელმძღვანელო, სხვა და სხვა კრებულები; ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ ვრცელ წერილებს სხვა და სხვა საგნებზე ხომ ანგარიში არა აქვს.)*

იაკობ გოგებაშვილის დეწლი, როგორც მწიგნობრისა და მოქალაქის, შთამომავლობის აღმზრდელ-მასწავლებლის, ქართული მწიგნობრობის გავრცელების პირველი საფეხურის და ერში სინათლის გამავრცელებელისა, ფასდაუღებელია და ღირს-სახსოვარი...

ამ ჟამად იაკობ გოგებაშვილი 70 წლისაა, ჯანღონით სავსე და ისევე შეუღრკეკლად მომუშავე, როგორც დაიწყო...

ღიღაც, რომ ჩვენს ერს უფლება აქვს ამგვარი შვილით იამაყოს...

ქართველ საზოგადოებას ჰსურდა მისი მოღვაწეობის იუბილეს გარდახდა, მაგრამ ეს თვითან ღრმად დამსახურებულმა მოღვაწემ—იაკობ გოგებაშვილმა—არ ისურვა...

სალამს ვუძღვნით ჩვენს ძვირფასს მოამაგეს, აღმზრდელ-მასწავლებელს და ვუსურვებთ დღევრძელობა-ჯანსაღობას მთელის ერის საკეთილდღეოთ და თავისდა სასახელოდ...

o—o

*) წელს გამოვიდა ცალკე წიგნად მისი ნაწერების ვრცელი ტომი, რომლის ვაცნობასაც ვურჩევთ მკითხველთ.

o—o

დასავლეთ ევროპის ლიტერატურა
ხანა კაპიტალიზმის აღფრთხილება
(გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 32)

II

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რადენადაც სოფელი კალიერდებოდა, იმდენად მრავლდებოდა და იზრდებოდა ქალაქები. 1850 წლიდან მოკიდებული 1890 წლამდის ინგლისის ქალაქი (რომელთა მცხოვრებლები 100,000 აღემატებოდნენ) რიცხვი რვიდან ოცდა სამამდის იზრდება; იმ ქალაქთა რიცხვი, რომელთა მცხოვრებნი 100,000 უდრიდნენ, — ორმოცდა თოთხმეტიდან ას-სამოცდა ერთამდის იზრდება; ხოლო იმ ქალაქთა რიცხვი, სადაც სცხოვრობდა 20,000 მეტი მცხოვრები, გაიზარდა სამოც-და-სამიდან ას-ოთხმოც და ხუთამდის. საფრანგეთში სოფელი ყოველ წლივ ქალაქთა სასარგებლოდ ხიზნავდა 60,000 კაცამდის; ბელგიაში ათი წლის განმავლობაში (1880—1890) მიწის მუშათა რიცხვი 200,000 კაცით შემცირდა. გერმანიაში ხუთი წლის განმავლობაში მოქალაქეთა რიცხვს ორ მილიონ ნახევარი ემატებოდა. განსაკუთრებით საოცარის სისწრაფით გაიზარდნენ მსხვილი ცენტრები — დედა ქალაქები. ორმოცი წლის განმავლობაში (1850—1890) ლონდონის მცხოვრებთა რიცხვმა ორჯერ იმატა, პარიზისამ — ექვსჯერ, ბერლინისამ — ხუთჯერ.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მწერლები და პოეტები თავიდან ბოლომდის ქალაქის მცხოვრებნი იყვნენ. თუ დიკენსი და ჰუგო უარყოფით შესტყროდნენ, ზოლასთვის ქალაქი სიცოცხლის და პროგრესის განხორციელება იყო. აი, რას მოგვითხრობს ზოლა თავის კრებულის „ჩემი საძულავაი“-ს ერთს წერილში: „როდესაც ახალგაზრდა და ღარიბი ვიყავი, ქალაქის განაპირა უბანში ვცხოვრობდი, სულ უკანასკნელ სართულში, საიდანაც მთელი პარიზი ჩანდა. და ეს დიდი ქალაქი, რომელიც უძრავად და გულგრილად აღიმეკდებოდა ჩემს ფანჯრის ჩარჩოში, უსიტყვო მოწმე იყო ჩემის სიხარულისა და მწუხარებისა. მის წინაშე ვიმშობიდი და ვსტიროდი, მის წინაშე შეყვარებული და ბედნიერი ვიყავი, და მაშინ, ოცი წლისა რომ ვიყავ, ვფიქრობდი დამეწერა რომანი, რომლის მომქმედი პირი სახურავთა ზღვა — პარიზი — უნდა ყოფილიყო...

ჩემთვის საჭირო იყო სამი ან ოთხი კაცის შინაური დრამა პატარა ოთახში, ხოლო ჰორიზონტზე თვალგაღწევენელი ქალაქი — მოუშორებელი მოწმე, რომელიც თავის ქვის თვალებით ამ ადამიანთა წამებას შესტყერის.“

შემდეგში ზოლამ ეს განზრახვა თავის რომანს — „საყვარულის ფურცლები“ — სა დაუღლო საფუძვლად.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარის პოეტებსა და მწერლებს უყვარდათ ქალაქი; უყვარდათ მისი უარყოფითი მხარეები, მისი ავადობა და სიბინძურე, გარყვნილთა თავშესაფარები და ნაძირალები. ბოდლერისაებრ მათ ათრობდა სიცოცხლისა და მოძრაობის ელექტრონით გაყვანილი ჰაერი. ვიმეორებ, მათ უყვარდათ ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ათასგვარ უშუაწურობითა და საშინელებით იყო აღსავსე.

ბოდლერი, რომელსაც არც კი ჰსურს შერისხოს «საზოხლარი დედა ქალაქი», ხარბათ ეწაფება უშინდურ განცხრომთა ფიალას და ამ განცხრომაში კიბებს ახალგაზრდასა და აღმაფრენას.

დიდი ქალაქი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის პოეტებს მრავალს ახალს მასალას აწვდიდა. ოთხმოციან წლებში, როდესაც ბერლინი გაერთიანებულ იმპერიის დედა-ქალაქი შეიქმნა, შორეულ პროვინციიდან ამ ქალაქს აწყდებოდნენ ახალგაზრდანი, სიმდიდრისა და სახელის მაძიებელნი. ამ მოდგმის ერთმა წარმომადგენელმა, პოეტმა ჰოლცმა თავის ლექსთა კრებულში „თანამდროვე ცხოვრების წიგნი“ — საშვილის შვილად აღბეჭდა ის აზრნი და გრძნობანი, რომელთაც განიცდიდა ქალაქში ბედის მაძიებელი ახალგაზრდა. თითო ფეხის გადადგმაზე მათ თვალწინ იშლებოდნენ გულშემზარავი სურათები.

დიდსავე ქალაქში აღორძინდა ლირიკის ახალი ფორმა — ქუჩის სიმღერა. ამ სიმღერის აკვანი პარიზის სირაჯხანა ანუ cabaret. მოსიმღერე-იმპროვიზატორთა შორის უნიკიერესი იყო „შავი კატის“ სირაჯხანის პატრონი არისტოტი ბრანდი. მის სიმღერებში, რომლებითაც იგი უმასპინძლებოდა თავისი სარდაფის სტუმრებს, ცოცხლად განსახიერებულთა პარიზის ქუჩა თავისი ნაძირალებით — მძვინვარე ქალებით, აშოლანებით, ლოთებითა და ქურდებით.

მთელი ეს ამღერეული ტბორე დღით ჯერდ-მულეზში იხალეზა, ხოლო ღამით საშოვარის საძიებლად ეღება ბულვარებს... ლექსში «წმ. ახარეს საყადმუფოთა» მეძვი ქალი თავის აშოლღანს წერილსა სწერს. მეძვი ქალს ძალიან აწუხებს მისი მღგომარეობა. შესაძლებელია, უმისოდ აშოლღანმა რაიმე ხიფათი აიტეხოს, ვინაიდან ბუნებით ღიდგული, გაქირვების ღროს თავის ამხანაგებისავით პაპიროსის ნაწიწვებს არ მოსძებნის ქუჩებზე, სთხოვე «სქელ ანასა» — სწერს მეძვი ქალი—მივიღოს თავის მფარველობის ქვეშ. როდესაც საყადმუფოდან გამოვალ, გავუსწორდები ანასას: სულ ერთია, ერთნი ვართო. თავს წერილში მეძვი ქალი ეფიცება თავის აშოლღანს, ისევე ნახად მიყვარხარ, როგორც პატარას მიყვარდა მამა ჩემი, როგორც მიყვარდა ღმერთი. როდესაც პირველად ვამბობდი ჩემს აღსარებას წმ. მარგარიტას ეკლესიაში. ხანდისხან ბრიანის სიმღერებში გამოსქვივის «ყოფილ ადამიანთა» ცხოვრების ნათელი სურათებიც: აღწერილია ქურდებისა და მეძვი ქალების რომელიმე საღდესასწაულო სერიზობა; ეს სერიზობა თავდება ღიდებულ ნადიმით. ხანდისხან მეგობრული კიჟინაც გაისმის; მოუწოდებენ მდიღრებისა და მღვდლების გასაქლეტად, საქურღლად და ნაქურღლის გასაყოფად: ისმის ხოლმე ანარქიისადმი მოწოდებაც.

ქალაქის კულტურის გამოჩენილი მომღერალი ბელგეილი პოეტე ვერპარნია. ამ პოეტმა თავის კრებულს «საიფღანა-მისაქენა» მეორე კრებული «რუაჟეს-ქაჟქა» მიუძღუა. ამ კრებულებში ვერპარნმა დახატა ქალაქის, ქუჩების, მაღაზიების, ამოძრავებულ ქარხანების აურღლებული სურათი. ზოგს ლექსში ვერპარნმა ქალაქის მფლობელი ორი გმირის სურათი დახატა. ერთის მხრივ მსხვილი მწარმოებელი, რომელიც სინუშით მოკულს თავის კაბინეტში სწევებს «სამეფოთა და გემთა ბედ-იღბლს». სავარძელში მოკუზული, იგი ხაზავს რიცხვთა კოლონას, ხოლო აზრით შორს საღდაც ჰფერენს: ბატავიაში, კოლომპოში, კაშუტადში, ჩინეთში... სისხლის მწოველ ობობასავით დაქსელა მან მთელი ქალაქი და მისი ოქრო ჯადოქარი ანღამანტეივით იზღადეს ღარიბთა მწღებასა და სხვა სიმღიდრეს. მაგრამ მის ფეხთა ქვეშე უკვე აღმფოთება მწიფდება. კაბიტალისტური

წარმოების ორგანიზატორს გზას უქრის სახალხო რევილიუციის ორგანიზატორი. ხალხის საუკუნოებითი ტანჯვანი მწიფეღელთა მიმართ შეურიგებელ მტრობად შეეუბდა მის გულში და ამისი აზრი ცოცხალი, გაღუშლი, სურვილისა და ვნებთავან გამოქნილი* ქუჩებსა და მოედებზე უკანასკნელ ბრძოლისათვის მოუწოდებდა მუშათა ხალხს.

და ბრძოლაც იწყება.

ერთ-ერთ ლექსში ვერპარნი აღწერს დედა-ქალაქის აჯანყებას. დაფ დაფის ხმაზე იღვიძებს დამონებული ხალხი. ქუჩები მსწრაფლ იფენება ბარკადებით. თოფის გრიღს მარსელიეზის ჰანგები უერთღებთან. ერთი გმირული მწღლაც და ხალხის გამარჯვებაც დაგვირგვინებუღია...

(შემდეგი იქნება)

პეტრე დაძვებ



ნაცო გამუწინა-ყავარღის გარდაყვალების გამი

(მკითე შენიშვნა)

ძვირფასი ნატო აღარა გვეყავს! იღიდ, აღარა გვეყავს ის ადამიანი, რომღის სახელთანაც შეერთებუღია ჩვენი განახლებულ სცენის ბრწყინვალე ხანა, ხანა აღორძინებისა, ხანა დაუზოგავი და გაბედული შრომისა.

სწრაფმა სენმა უღროვოდ და უცაბედად გამოგვაცალა ხელიდან ნიქეირი და ჩვენი სცენის ქირისუღალი მსახიობი. მისი დაკარგვა ჩვენს სცენას შესაძწევს დაღს დაასვამს, ღიდს ხანს აღარ გვეყოღება შეუღდარებელი «ხანუმა», «ფრომარი» და სხვანი.

ნატო დამსახურების აღწუსებას, მის მწიშენეღობის განმარტებას ამ ხანად არ შეეუღღებით. იგი ყვეღასათვის ცნობიღია წარსულ წელს გამართულ 30 წღის მოღვაწეობის იუბიღეიტი.

მისი ხსოვნა რომ უკვედაფ ვყოთ, საქიროა ყურღდება მივაქკიოთ ერთს გარემოებასაც, — სახელღობრ: ვანსვენებულს ნატოს, ასიკო ცავარღის იმეუღღეს, უნდა ჰქონოღა ყვეღა მისი პიესები ორიგინალური და ნათარგმნი.

ქარ. ღრამ. სახ. გამგეობა მოვალეა მოითხოვღს ყვეღა ნაწერები ასიკოს. აღწუსხოს და თავის ბიბლიოთეკაში მოათავსოს ჯერ შენახანად და მერე, როცა მოახერხებს, გამოსაცემადაც.



ა. შანშიაშვილი და ი. გრიშაშვილი

უემოღგოგა

უემოღგომის ქარი ჰქრის...
 სევდით სავსე წვიმა სკრის
 და სოსანი შწარედ სტირს,
 მისცემია ველი ძილს...
 შეუსუსტდა ფერი მტილს,
 მოსთქვამს შაში მუხის ძირს:
 კორღს არიდებს დავსილს პირს.

სულის კენესა ჰხდება ტყეს.
 სუ!.. ცრემლები სცივია ხეს.
 შველის ნუკრი ღამეს ბნელს
 შორს გაურბის სალსა კლდეს.
 გამხმარ შტოსა ვინა სტესს?—
 გრიგალია მთებში ეს.
 სტვენს, სისინებს, ზათქით ჰპერს...
 სცივია მდღელოს... სუსხი სცემს!

ა. შანშიაშვილი

ვეკლები... ვაიმე!

მნათობი საღ-მთებს მიეფარა, მაისის დილავე,
 მწუხრის სამსხვერპლოდ გადი შალა შენს ფერხთა ქვეშე;
 ღრუბელთა სრიალს ვერ გააპობ, ვერ დამიჩრდილავ,
 ჰიზნი გლოვისა არ არსებობს ჩემსა გარეშე.

მო, მანუგეშე!
 მთაო, მალალო,
 თავისუფალო,
 მაგრამ საბრალო...

მო, გამიღიმე!
 ამური ცელქი შენს სამოთხის მკერღზე დავკარგე,
 ჰანგად ჩამოვქმენ აპოლონის ფერადი ქნარი;
 მე შენს ტუჩებზე საუკუნო კოცნა მოვკარგე,
 კოცნა უმწიკვლო, ვით უსაზღვრო მგონის სიზმარი.

ფოთლებ შემხმარი
 ხე, ალვისა ხე,
 ვით შენი სახე,
 გულს ჩავისახე,
 ავაციმიციმე.

მე ყვავილი ვარ, ზღვის ყვავილი, სნეულად მყოფი,
 ვსკვნები და მხოლოდ საღარდელად თან ის მიმყვება,
 რომ ვერ ვიმრავლე, ვერ დავსტოვე ჩემი ნაყოფი,—
 იესო, ღვთის ძეგ! მაშ ჩემ შემდგომ ვინ, ვინ დარჩება?

ავერ ოცნება
 ეტლს მოაქროლებს:
 მე აქ მამრძოლებს,
 შენ გაგიყოლებს.

ვეკლები... ვაიმე!
 ი. გრიშაშვილი




მიმიკა

III

დეტალური განხილვა სხეულისა და მისი ასოების მოქმედებისა კანკებზე

როცა ფეხზე სდგახართ, — კანკები სწორეთ გადგათ — ქუსლები ერთმანეთზე მატყუებული, — სხეული დამართებულია ორადე ფეხზე (ფიგურა 5), თქვენ შიადლებთ მდგომარეობას, რომელიც ჰქონს:



ფიგ. 8

ფიგ. 9

მანს, რომელსაც ეშინან თავის სხეულის თანსწრობის დაკარგვისა.

როცა ფეხზე დგახართ, საზოგადოებისაგან ზირობირებული, ორადე ფეხით იატაკზე დაბჯინალი, — მაგრამ სხეულით მხოლოდ ერთს კანკზე დამართებული — მანს შიადლებთ ბევრად გრძნობსულის მდგომარეობას და ბევრად ნათლად გამოხსნულს.

ვთქვათ, თქვენ ელანარკებით თქვენს ზარტხარს, რომელიც სდგას თქვენს მარცხნივ, თქვენი სხეული კი დაბჯინალია მარჯვენა ფეხზე, ე. ი. თუ თქვენი სხეული დაბჯინალია იმ კანკზე, რომელიც მოქმედებისაგან არ არის (ფიგურა 8), თქვენ ჰქონტათ ადამიანს, რომელიც გულგრილად იცდის ან კიდე გულგრილად ისმენს. ზირობით, თუ თქვენი სხეული დამართულია იმ კანკზე, რომელიც მოქმედებისაგან არის, ე. ი. თუ ელანარკებით თქვენს ზარტხარს და ეს ზარტხარით მარჯვენა სდგას და თქვენი სხეულიც მარჯვენა კანკზე არის დაბჯინალი, დამართული, როგორც სურათზეა ნახვები (ფიგურა 9), თქვენ შიადლებთ მდგომარეობას, რომელიც ჰქონს:

ეურადლებს, აქტიურ მონაწილეობის შიადებას დაზარაში.


თუ, როცა საზოგადოებას ან კიდე თქვენს ზარტხარს ელანარკებით, თქვენი სხეული დაბჯინალია ორადე ფეხზე, რომელსაც იმოთხებიან ერთს სწორე ხსზე (ახილე ფიგურები 5 და 6) თქვენ გაქვთ ნალები გამომეტყველი და ნალები მოეხერხებელი, რადგან თქვენ არ შეგუძლებათ წაწაწაშიაწით თქვენი სხეულით წინ უკან უშიაშიად, რადგან შეიძლება ადვილად დაქვარვით თანსწრობა ტახის.

ზირობით, თუ თქვენ ერთ ფეხს წინ გასწევით, მანს თავსუფლად, უშიაშიად შეგუძლებათ ტახის მიხურა-მიხურა, წინ და უკან დაწევა, არც თანსწრობას დაქვარვით და შიამასაც უფრო მეტი ძალა და უფრო მეტი შიამაქვლილება ექნება მყოფობი.

გიორგი ჯაბადარი


ბრიუსელი (ბელგია)

თავდალობას, მორცხეობას, შიშიადობას, ზატევისცემას, სიწინარეს, უმოქმედობას, სხატევეტშია ცდას.



ფიგ. 5

ფეხზევე — სხეული, დამართულია აკრულევი ორადე კანკზე, მხოლოდ ფეხები გაწეულია (ფიგ. 6), გასკვეთ შეხედულობას:



ფიგ. 6

ფიგ. 7

მეზღვარისს, ცხენისისს შიშიე ტეირთის შიადეგლისს, ვულგარულ ადამიანისს, საერთად ისეთ ადამიანისს, რომელიც დახეულია შიშიე ტეირთის ზადვას. ასეთადე მდგომარეობა, როგორც ფიგურა 6 იმ განსხვავებით, რომ სხეული, ტანი ცრატათი შიშიადლია (ფიგურა 7), ჰქონს:

დადაღვას, სიხუსტეს, სიბერეს, სიშიფრლეს.

საერთად ასეთი მდგომარეობა ახსიათეს ადა-



ილია ჭავჭავაძის ხსოვნას

ხვალ, 30 ავგისტოს, საღამოხანზე, სამი წელიწადი შესრულდება, რაც ჩვენის ქვეყნის მოამაგეს, ცისა და ქვეყნის შორის მოსაუბრეს, ერის წყალობით ტანჯულ-გვემულს და მარად ეპოს სამშობლოს დაწინაურებაზე მზრუნველს—ილია ჭავჭავაძეს—შუბლი გაუგვირეს... უგუხურება აღიპართა გონიერების წინააღმდეგ, სიბნელე—სინათლის დასაზრდილავად, სიკვდილი—სიცოცხლის დასათრუნავად, მაგრამ დიდებუნივანმა ადამიანმა, ზენაირ მადლით ცხებულმა კაცმა სიკვდილითა თვისითა საუკუნო სიცოცხლე დაიმკვიდრა თავისი ეროსა და იღვით მებრძოლი ყოველი ადამიანის ხსოვნაში...

